პრაქტიკული მითითება №7

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

უსაფრთხოების სექტორისა და გენდერის სფეროს საპარლამენტო ზედამხედველობა

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი საპარლამენტო ზედამხედველობისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება საპარლამენტო ზედამხედველობაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები საპარლამენტო ზედამხედველობის შეფასებისთვის

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი საპარლამენტო ზედამხედველობაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს" ეფუძნება და ორივე მათგანი ***გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს*** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია.*

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი საპარლამენტო ზედამხედველობისთვის?

უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა: „საკანონმდებლო ხელისუფლება საპარლამენტო ზედამხედველობას ისეთი კანონების მიღების გზით ახორციელებს, რომლებიც განსაზღვრავენ და აწესრიგებენ უსაფრთხოების სამსახურებსა და მათ ძალაუფლებებს შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების დამტკიცების გზით. ამგვარი კონტროლი შეიძლება ასევე მოიცავდეს საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტიტუტის ან კომისიის შექმნას, რომელსაც შეეძლება განახორციელოს გამოძიება საზოგადოების მხრიდან შემოსულ საჩივრებთან დაკავშირებით."[1]

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი" შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი" *ბიოლოგიურ* განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება

[1] DCAF და IPU, *უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა: პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა,* DCAF და IPU, 2003, გვ. 22.
http://www.dcaf.ch/oversight/_publications.cfm?navsub1=12&navsub2=3&nav1=3

დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობაში შეიძლება ანგარიშვალდებული, ეფექტური და თანაბრად სამართლიანი პოლიტიკებისა და ინსტიტუტების შექმნაში დაგვეხმაროს:

ინკლუზიური, საჭიროებებზე დამყარებული უსაფრთხოების პოლიტიკები

- პარლამენტარებს, როგორც კონკრეტული ელექტორატის არჩეულ წარმომადგენლებს, გააჩნიათ იმის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა, რომ ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები იქნება გათვალისწინებული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას. მაგალითად, ძალადობა გენდერულ ნიადაგზე, რაც მოიცავს ტრეფიკინგს, ძალადობას ინტიმურ პარტნიორთა მიმართ, სექსუალურ ძალადობას და ანტი-ჰომოსექსუალურ ძალადობას, ერთ-ერთ უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს ადამიანთა უსაფრთხოებისათვის მსოფლიო მასშტაბით.
- პოლიტიკის განსაზღვრის მონაწილეობრივი პროცესები, რომლებიც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ფართო სფეროს, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით, გვეხმარებიან იმაში, რომ უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი კონსენსუსი უსაფრთხოების პრიორიტეტების თაობაზე და ასევე გაიზარდოს უსაფრთხოების პოლიტიკების, უსაფრთხოების ინსტიტუტებისა და თვითონ პარლამენტის რეაგირების დონე და ლეგიტიმურობა.

მუშაობის თვალსაზრისით ეფექტური უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტები

- პარლამენტებს შეუძლიათ მიიღონ ზომები იმისათვის, რომ გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებში და შესაბამის სამთავრობო თანამდებობებზე, რაც, როგორც ეს დემონსტრირებული იქნა, სარგებლების ფართო სპექტრის არსებობას იწვევს, მუშაობის თვალსაზრისით.
- პარლამენტი კრიტიკულ როლს ასრულებს, პრევენციისა და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, ისეთ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორიცაა დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროება და ადამიანის უფლებათა დარღვევები.

- მდედრობითი და მამრობითი სქესის პარლამენტარების უფრო თანაბარ რაოდენობას, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების წევრობის ჩათვლით, შეუძლია გააძლიეროს პარლამენტების ლეგიტიმურობა და ობიექტურობა. გლობალურად, 2007 წელს, პარლამენტის წევრთა 82.6% მამაკაცები იყვნენ.[2]

ჩანართი 1:

მონაწილეობრივი და გენდერულ საკითხებზე რეაგირების მაღალი დონის მქონე უსაფრთხოების პოლიტიკების შექმნა სამხრეთ აფრიკაში[3]

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაციონალური თავდაცვის შესახებ 1996 წლის „თეთრი დოკუმენტის“ პროექტი შემუშავდა ქეიფთაუნის უნივერსიტეტის თანამშრომლის, ლორი ნათანის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის პირველმა ვარიანტმა მრავალი კომენტარი გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და თავდაცვის ინდუსტრიის წარმომადგენლების მხრიდან. ის ფოკუსირებული იყო ადამიანთა უსაფრთხოებაზე და ხაზს უსვამდა სქესთან კავშირის არმქონე ინსტიტუციური კულტურის შექმნას, რაც მოიცავდა თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებას, რომ განეხორციელებინა შეიარაღებულ ძალებში დისკრიმინაციის პრაქტიკის იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. გარდა ამისა, მასში მოთხოვნილი იყო საკომპენსაციო დისკრიმინაციისა და თანაბარი შესაძლებლობების პროგრამების განხორციელება, ასევე ქალების იმ უფლების აღიარება, რომ ემსახურათ ყველა რანგში და თანამდებობაზე, საბრძოლო თანამდებობების ჩათვლით.

„თეთრი დოკუმენტში“ ასევე მოთხოვნილი იყო თავდაცვის სფეროს გადახედვის განხორციელება, რათა გაკეთებულიყო ისეთი სამუშაო დეტალების მონახაზი, როგორიცაა დოქტრინა, შეიარაღებული ძალების დიზაინი, ლოჯისტიკა, შეიარაღებები, ადამიანური რესურსები და აღჭურვილობა. ქალი პარლამენტარების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის ერთიანმა მუდმივმა კომიტეტმა თავდაცვის საკითხებზე მოითხოვა კონსულტაციების გამართვა ეროვნულ დონეზე, თავდაცვის სფეროს გადახედვის პროცესის ფარგლებში. მიღებული იქნა სხვადასხვა ზომები, რათა მომხდარიყო

[2] IPU, *ქალები ნაციონალურ პარლამენტებში,* 31 ოქტომბერი, 2007. http://www.ipu.org/wmn-e/world.htm

[3] ანდერლინი და ქონეუეი, *დემოკრატიაზე გადასვლისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესები: სამხრეთ აფრიკელი ქალების უმნიშვნელოვანესი წვლილი,* (ინკლუზიური უსაფრთხოების ინიციატივა: ვაშინგტონი), 2004 წ., გვ. 17-18; 23-25.

საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავდა სამხედრო თვითმფრინავებისა და ავტობუსების გამოყენებას რელიგიური და საზოგადოებრივი ლიდერების, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტების და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლების ტრანსპორტირებისათვის, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ რეგიონალურ შეხვედრებსა და სემინარებში.

საზოგადოებრივმა ქალთა ორგანიზაციებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს იმ პროცესში, რომ ყურადღება მიქცეოდა ისეთ მანამდე იგნორირებულ საკითხებს, როგორიცაა სამხედრო სფეროს ეკოლოგიური ზეგავლენა და ქალთა სექსუალური შევიწროება სამხედრო პერსონალის მიერ. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით, თავდაცვის სამდივნოს ფარგლებში ორი ახალი ქვეკომიტეტი შეიქმნა. საბოლოო ჯამში, აღიარებული იქნა, რომ თავდაცვის სფეროს განხილვის პროცესის მონაწილეობრივი ხასიათი დაეხმარა თავდაცვის საკითხების ირგვლივ ნაციონალური კონსენსუსის მიღწევისა და უსაფრთხოების ახალი სტრუქტურებისათვის საზოგადოებრივი ლეგიტიმურობის გენერირების პროცესებს.

თანაბარი ბიუჯეტირება და რესურსების მენეჯმენტი

- ბიუჯეტებისა და რესურსების მენეჯმენტის გენდერულ ანალიზს შეუძლია გააძლიეროს გამჭვირვალება, ანგარიშვალდებულება და თანხების თანაბარი განაწილება, რათა დაკმაყოფილდეს მამაკაცების, ქალების, გოგონებისა და ვაჟების მოთხოვნილებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან

გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობაში აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა საერთაშორისო და რეგიონულ კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან, რომლებიც ეხება უსაფრთხოებასა და გენდერს. უმთავრესი ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

- *კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ* (1979)
- *პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა* (1995წ)

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

როგორ შეიძლება განხორციელდეს გენდერის ინტეგრირება საპარლამენტო ზედამხედველობაში?

კონკრეტული გამოწვევები და შესაძლებლობები, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობასთან, ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა, აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული წინადადებები გენდერული საკითხების ინტეგრაციისათვის ადაპტირებული უნდა იქნას კონკრეტული ქვეყნის კონტექსტის შესაბამისად:

ინკლუზიური, საჭიროებებზე დამყარებული უსაფრთხოების პოლიტიკების შექმნა:

- **მონაწილეობრივი პროცესი**
  - ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი კონსულტაციების განხორციელება, ქალებისა და მამაკაცების ორგანიზაციების ჩათვლით, უსაფრთხოების პოლიტიკების თაობაზე.
  - მექანიზმების შემუშავება საჯარო დებატებისათვის, როგორიცაა საჯარო მოსმენები.
  - ცალკეულ პარლამენტარებს შეუძლიათ ხელმისაწვდომი გახადონ საკუთარი თავი, რათა მოუსმინონ იმ პრობლემებსა და საკითხებს, რასაც ქალაქსა და სოფლებში არსებული ქალთა ორგანიზაციები წამოჭრიან.
- **გენდერულ საკითხებზე რეაგირების განმახორციელებელი უსაფრთხოების პოლიტიკები**
  - გენდერთან დაკავშირებული საკითხების მოცვა, როგორიცაა ძალადობა გენდერულ ნიადაგზე, ასევე უსაფრთხოების ინსტიტუტებში მამაკაცებისა და ქალების თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა.
  - გენდერ-ინკლუზიური („პოლიციის ოფიცერი") და გენდერ-სპეციფიკური („მამრობითი და მდედრობითი სქესის სამხედრო პერსონალი") ენის გამოყენება, საჭიროების შესაბამისად.
  - გენდერის საკითხების ექსპერტებისაგან კონსულტაციის და რჩევების მოპოვება, უსაფრთხოების პოლიტიკების პროექტების შემუშავებისა და გადახედვისას.
  - გენდერული ჯგუფის (ფრაქციის?) შექმნა, რომელშიც შევლენ მდედრობითი და მამრობითი სქესის პარლამენტარები, რათა ამაღლდეს ინფორმირებულობის დონე გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით.
  - შეთავაზებული და არსებული უსაფრთხოების პოლიტიკების გენდერული ზეგავლენის შეფასების განხორციელება.
- **გენდერული ტრენინგი და მანდატები უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის**

- გენდერულ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა პარლამენტარებისა და მათი თანამშრომლებისათვის, განსაკუთრებით კი თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების წევრებისთვის.
- იმის უზრუნველყოფა, რომ გენდერული საკითხები მოცულია თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების მანდატით.

უსაფრთხოების სექტორის უწყებების ეფექტურობის გაძლიერება

- **ინიციატივები, რომლებიც მიმართულია უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურებში ქალთა დაქირავების, შენარჩუნებისა და დაწინაურების დონეების ზრდაზე**
  - ქალთა დაქირავებისა და შენარჩუნების კონკრეტული სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრის მოთხოვნა.
  - ადამიანური რესურსების პოლიტიკებისა და პრაქტიკის შეცვლა, სამუშაოსა და ცხოვრებას შორის უკეთესი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.
  - სქესის საფუძველზე განცალკევებული მონაცემების მოთხოვნა, გენდერის ძირითად მიმართულებად დანერგვის და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციების შედგენილობის შესახებ
  - მდედრობითი სქესის კადეტების მიერ პოლიციის და სამხედრო აკადემიების მიტოვების შემთხვევების ანალიზის, ასევე ქალთა მიერ საპოლიციო და სამხედრო კარიერის უფრო გვიანდელ ეტაპებზე მიტოვების შემთხვევების ანალიზის განხორციელების მოთხოვნა და ქალთა შენარჩუნების ხელშეწყობაზე მიმართული ინიციატივების მონიტორინგი.
- **გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის**
  - იმის უზრუნველყოფა, რომ უსაფრთხოების სექტორის მთელი პერსონალის ტრენინგი იმართება ხოლმე გენდერულ საკითხებზე.
- **ყოვლისმომცველი კანონმდებლობა გენდერულ ნიადაგზე ძალადობის შესახებ**
  - უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურების ჩათვლით, გენდერულ ნიადაგზე ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით საერთაშორისო, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.

- გენდერულ ნიადაგზე ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკებისა და ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებშიც განსაზღვრულია სამართალდაცვითი, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემების კონკრეტული პასუხისმგებლობები.

- **უსაფრთხოების ინსტიტუტებისა და პერსონალის ანგარიშვალდებულება გენდერულ ნიადაგზე ძალადობის პრევენციასადა მასზე რეაგირებასთან დაკავშირებით**
  - ნათელი და გასაგები კანონმდებლობისა და ქცევის კოდექსების არსებობის უზრუნველყოფა უსაფრთხოების სექტორის პერსონალის იმ პასუხისმგებლობის თაობაზე, რაც ადამიანთა უფლებების დარღვევების პრევენციასა და მათზე რეაგირებას ეხება, სადისციპლინო პროცედურების ჩათვლით.
  - ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების, უსაფრთხოების სექტორის პერსონალის მიერ ასეთი შემთხვევების გამოძიებისა და შესაბამისი სადამსჯელო ზომების მიღების მონიტორინგი.
  - უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურებში არსებული სექსუალური შევიწროების და გენდერულ ნიადაგზე ძალადობის სხვა ფორმების ხასიათისა და მასშტაბების გამოძიებისა და კვლევის მექანიზმის შექმნა.

- **ომბუდსმენი**
  - განვიხილოთ ისეთი ინსტიტუტის შექმნა, როგორიცაა ომბუდსმენი, რომელსაც ექნება საგანგებო ძალაუფლება იმისათვის, რომ ზედამხედველობა განახორციელოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სხვა უწყებებში გენდერული საკითხების ინტეგრაციის პროცესზე.
  - იმის უზრუნველყოფა, რომ ომბუდსმენის აპარატს გააჩნია შესაბამისი მანდატი და ექსპერტული ცოდნა იმისათვის, რომ გენდერულ ნიადაგზე ძალადობის საკითხები მოაგვაროს, გენდერული ჯგუფისა და გენდერული ექსპერტების ჩათვლით.

ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდა

- **ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობის გაზრდა**
  - საკონსტიტუციო, საკანონმდებლო ან ნებაყოფლობითი კვოტების შემოღება, საარჩევნო სისტემების რეფორმირება და მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფა მდედრობითი სქესის კანდიდატებისათვის.

- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა და, ზოგადად, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

- **უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტებში გენდერული ბალანსის გაზრდა**
  - კანონმდებლობის მიღება, რომელიც მოითხოვს მდედრობითი სქესის პარლამენტართა უფრო მეტ მონაწილეობას უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ კომიტეტებში (იხ. ჩანართი 2).
  - განიხილეთ სტრატეგიული სამიზნე მაჩვენებლების ან კვოტების განსაზღვრა, ქალთა მონაწილეობისათვის ყველა საკომიტეტო სტრუქტურაში.

თანაბარი ბიუჯეტირებისა და რესურსების მართვის ხელშეწყობა

- **ბიუჯეტირება გენდერისთვის**
  - შეთავაზებული და არსებული ბიუჯეტების გენდერული აუდიტის ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას დაფინანსება ქალების, მამაკაცების, ვაჟებისა და გოგონების უსაფრთხოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
  - გენდერული საკითხების ინტეგრირება შეთავაზებულ ბიუჯეტებში.

ჩანართი 2:

ისრაელი: თანაბარი წარმომადგენლობა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში[4]

2005 წელს, ისრაელის პარლამენტმა, ქნესეთმა მიიღო ცვლილება 1956 წლის კანონში „ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის შესახებ“, რომელიც აწესებს ქალთა ინკლუზიას იმ ჯგუფებში, რომლებიც ინიშნება სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღების და საშინაო, საგარეო თუ უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული კანონი შეტანილი იქნა პარლამენტში ორი პარლამენტარის მიერ, ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „იშალიშასთან“ თანამშრომლობით. იმისათვის, რომ მომხდარიყო კანონის მიღება, შეიქმნა ქალთა და სამშვიდობო ორგანიზაციების საგანგებო გაერთიანება და ლობირებისა და მედიასთან მუშაობის ფართომასშტაბიანი კამპანია განხორციელდა.

---

[4] „იშალიშას“ პრეს-რელიზი, (21 ივლისი, 2005), *პარლამენტი/ქნესეთი იღებს ახალ კანონს, რომელიც აწესებს ქალთა ინკლუზიის მანდატს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მოლაპარაკებების წარმოებისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში.* http://www.peacewomen.org/news/Israel-OPT/July05/Knesset.html

- **გენდერი და თავდაცვასთან დაკავშირებული შესყიდვები**
  - იმის უზრუნველყოფა, რომ გამოყოფილია თანხები ისეთი ფორმებისა და აღჭურვილობის შესყიდვისათვის, რომლებიც მოერგება ქალებს, ასევე თანხები ქალებისათვის ცალკე საშუალებების მოსაწყობად და ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებებისთვის.
  - იმის უზრუნველყოფა, რომ იარაღით ვაჭრობის მარეგულირებელი ეროვნული წესები კრძალავს ვაჭრობას ისეთ რეჟიმებთან ან პირებთან, რომლებიც გენდერულ ნიადაგზე ძალადობას ახორციელებენ.

ინსტრუმენტში №7 ასევე შედის...

- ქალებისათვის კვოტების სხვადასხვა ფორმების მაგალითებს
- პრაქტიკულ სტრატეგიებს გენდერულ ნიადაგზე ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად
- მეთოდებს გენდერული ბიუჯეტირებისათვის

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

კონფლიქტის შემდგომ გარემოში, პარლამენტის როლი ზედამხედველობის თვალსაზრისით ხშირად საკმაოდ სუსტია. მიუხედავად ამისა, პარლამენტებს კონსტრუქციული როლის შესრულების შესაძლებლობა გააჩნიათ იმის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რომ გენდერული საკითხები ინტეგრირებული იქნას უსაფრთხოების შექმნისა და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების რეკონსტრუქციის პროცესში.

გამოწვევები გენდერული საკითხების ინტეგრაციის კუთხით

- პარლამენტების როლი და ავტორიტეტი შესაძლოა მკვეთრად კომპრომეტირებული იყოს, განსაკუთრებით უსაფრთხოების ისეთი სტრუქტურების ზედამხედველობის თვალსაზრისით, როგორიცაა ჯარი.
- ვინაიდან უსაფრთხოების სექტორი უაღრესად რთული სფეროა, ყველა პარლამენტარს არ გააჩნია საკმარისი ექსპერტული ცოდნა იმისათვის, რომ ეფექტური ზედამხედველობა განახორციელოს, განსაკუთრებით პოსტკონფლიქტურ კონტექსტებში.
- პარლამენტარები და უსაფრთხოების ინსტიტუტები შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აღიქვამდნენ როგორც პოლიტიკურ ოპონენტებს და, შესაბამისად, ქალთა ორგანიზაციებთან მუშაობისა და თანამშრომლობის ნაკლები სურვილი გააჩნდეთ.
- პოლიტიკასა და უსაფრთხოების ძალებში მონაწილეობა შესაძლოა ნეგატიურ ასოციაციებს იწვევდეს, წარსულში მომხდარი ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო. აღნიშნულის შედეგად, ქალთა

მონაწილეობის დონის ამაღლების პროცესი შესაძლოა უფრო გართულდეს.

- შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წინააღმდეგობას ისეთი გენდერული საკითხების პრიორიტიზაციის მიმართ, როგორიცაა ძალადობა გენდერულ ნიადაგზე, როდესაც, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სხვა საშიშროებები უფრო აქტუალურად აღიქმება.

შესაძლებლობები გენდერული საკითხების ინტეგრაციის კუთხით

- პარლამენტებს შეუძლიათ ადვოკატირება განახორციელონ ქალთა (მაგალითად ქალი პარლამენტარების) ინკლუზიისთვის სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და გენდერული საკითხების სამშვიდობო შეთანხმებებში ინტეგრირების პროცესებში. სამშვიდობო შეთანხმებები ხშირად გამოიყენება როგორც საფუძველი უსაფრთხოების სექტორის რეფორმისთვის.
- ზედამხედველობა განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესებზე შეიძლება საწყისი წერტილი გახდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მამრობითი და მდედრობითი სქესის ყოფილი მეომრების საჭიროებების ადექვატურად დაკმაყოფილება.
- პარლამენტის საკანონმდებლო, ზედამხედველობითი და საბიუჯეტო ძალაუფლება მას საშუალებას უქმნის, რომ ზეგავლენა მოახდინოს სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემების ისეთ რეფორმაზე, რომელიც გენდერულ საკითხებზე მათი რეაგირების დონეს გაზრდის.
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესები საშუალებას უქმნიან პარლამენტარებს, რომ მათ ისეთი გენდერული საკითხების მოგვარება უზრუნველყონ, როგორიცაა ძალადობა გენდერულ ნიადაგზე და ასევე მოახდინონ კონკრეტული ინიციატივების განხორციელება ქალების დაქირავების მიზნით.
- საარჩევნო პოლიტიკებისა და თვითონ პარლამენტის პოსტკონფლიქტური ტრანსფორმაცია იძლევა შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს ზომები, რათა ქალი პარლამენტარების პროცენტული რაოდენობა გაიზარდოს (თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების ჩათვლით) და მექანიზმები შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსულტაციების გამართვისთვის.

ჩანართი 3:

საკონსტიტუციო კვოტების შემოღება: რეფორმები ავღანეთსა და ერაყში[5]

---

[5] IPU, *ქალები პოლიტიკაში.* http://www.ipu.org/wmn-e/suffrage.htm; მოსადიქი, *ავღანეთის ახალი კონსტიტუცია.*

ავღანეთი გარდაიქმნა ისეთი ქვეყნიდან, სადაც ქალთა უფლებები მკვეთრად იყო შეზღუდული, ისეთ ქვეყანად, რომელიც კანონით იძლევა გენდერული თანასწორობის გარანტიას. პოლიტიკური წარმომადგენლობის სფეროში, ახალი კონსტიტუცია უზრუნველყოფს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა ოფიციალური ინკლუზიის გარანტიას. 83-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ პარლამენტში არჩეული უნდა იყოს მინიმუმ ორი მდედრობითი სქესის კანდიდატი თითოეული პროვინციიდან. აღნიშნული საკონსტიტუციო დებულება წარმატებით განხორციელდა. 2005 წლის სექტემბრის არჩევნებზე არჩეული იქნა 69 ქალი, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს 249 წევრის დაახლოებით 27%-ს წარმოადგენდნენ.

აღნიშნულის მსგავსად, ერაყის ახალი კონსტიტუცია, რომლის რატიფიკაციაც 2005 წლის ოქტომბერში მოხდა, ქალებს პარლამენტის წევრობის 275 მანდატის ერთი მეოთხედის მიღების საშუალებას უქმნის. ერაყშიც მოხდა საკონსტიტუციო კვოტის შემოღება. 2005 წლის დეკემბრის არჩევნების შემდგომ, ქალები წარმომადგენელთა ნაციონალური საბჭოს ერთ მეოთხედს წარმოადგენენ. აღნიშნული ორი საარჩევნო შედეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ რეგიონში, სადაც ქალები კვლავაც არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და ზოგიერთ შემთხვევაში სრული მოქალაქეობრივი უფლებები არ გააჩნიათ.

- დონორებს შესაძლოა გააჩნდეთ სურვილი, რომ მხარი დაუჭირონ გენდერულ საკითხებზე რეაგირების დონის ამაღლებაზე მიმართულ რეფორმებს, რაც მოიცავს მამრობითი და მდედრობითი სქესის პარლამენტარების გენდერული შესაძლებლობების განვითარებას.

? შეკითხვები საპარლამენტო ზედამხედველობისათვის

- ძირითადი შეკითხვები, რომლებიც უნდა დაისვას იმის შეფასების პროცესში, ხდება თუ არა გენდერული საკითხების ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობაში, მოიცავს შემდეგს:

- უზრუნველყოფილი იქნა თუ არა თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების წევრი პარლამენტარებისათვის გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებლობათა განვითარების პროცესი, გენდერული ტრენინგების ან შეხვედრების სახით?

- არსებობს თუ არა ოფიციალური და/ან არაოფიციალური სტრუქტურები იმისათვის, რომ კონსულტაციები განხორციელდეს უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით?

- როგორია მამრობითი და მდედრობითი სქესის პარლამენტარების პროცენტული წარმომადგენლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ კომიტეტებში?
- შექმნილია თუ არა ომბუდსმენის ინსტიტუტი და გააჩნია თუ არა მას მანდატი და შესაძლებლობა, რომ გენდერული საკითხები მოაგვაროს?
- არსებობს თუ არა ინიციატივები, რომ გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში, როგორიცაა კვოტების სისტემები და ქალი კანდიდატების მხარდაჭერა?
- მიღებულია თუ არა კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც გარანტირებული იქნება ქალებისა და მამაკაცების სრული და თანაბარი მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურებში?
- მიღებულია თუ არა ადეკვატური კანონმდებლობა გენდერულ ნიადაგზე ძალადობის შესახებ?
- შექმნილია თუ არა გენდერული/ქალთა საკითხების ჯგუფი? ხდება თუ არა მის ფარგლებში უსაფრთხოების საკითხების განხილვა?
- გამოყენებული იქნა თუ არა ბიუჯეტის გენდერული ანალიზი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბიუჯეტების შემთხვევაში?

დამატებითი ინფორმაცია

წყაროები:

ბიანიმა და ვენერი – *პარლამენტი, ბიუჯეტი და გენდერი – IPU სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის №6,* 2004.

ბორნი, ფლური და ჯონსონი – *უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა: პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა,* DCAF და IPU, 2003 (ხელმისაწვდომია 40 ენაზე).

ფრიმენი, *შერიგების რეალურად განხორციელება: პარლამენტების როლი - IPU სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის №10,* 2005.

ორგანიზაციები:

ევროპელ პარლამენტართა ასოციაცია აფრიკისათვის (AWEPA) – www.awepa.org

iKNOW Politics: ქალთა საერთაშორისო ცოდნის ქსელი პოლიტიკის სფეროში - www.iknowpolitics.org

ინიციატივა ინკლუზიური უსაფრთხოებისათვის –

www.huntalternatives.org/pages/7_the_initiative_for_inclusive_security.cfm

დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი – www.idea.int

საპარლამენტთაშორისო კავშირი – www.ipu.org

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითება მოამზადა მუგიჰო ტაკეშიტამ, DCAF, მე-7 ინსტრუმენტის საფუძველზე, რომლის ავტორია ილია ლუციაკი.